ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

gamoyenebiTi socialuri fsiqologia

სამაგისტრო პროგრამა

თბილისი
2011

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
MSc in Applied Social Psychology

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი
MSc in Applied Social Psychology

3. პროგრამის მოცულობა

120 კრედიტი

4. სწავლების ენა

ქართული ენა

5. პროგრამის მიზანი

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიმართულებაა. მისი მიზანია სოციალური პრობლემის ანალიზი, სოციალური პროგრამების შემუშავება და დანერგვა სხვადასხვა დონეზე, ინდივიდუალურიდან დაწყებული საზოგადოებით დამთავრებული, ჯგუფისა და ორგანიზაციის ჩათვლით.

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებსა და მიდგომებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ქცევისა და პრობლემების გაგებასა და რეგულაციაში. პრაქტიკული მნიშვნელობის გამო ის ერთ- ერთი სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა.

“გამოყენებითი სოციალური ფსიოქლოგიის” სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ბაზისურ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, გაეცნონ პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.

სტუდენტები გაღრმავებულად შეისწავლიან ძირითად თეორიებს, მიდგომებს, თანამედროვე პერსპექტივებსა და ემპირიულ აღმოჩენებს; კვლევის მეთოდებისა და ინტერვეციის ტექნიკების გამოყენებას სხვადასხვა სოცილაური პრობლემების გადაჭრისას ისეთ სფეროებში როგორიცაა ჯანმრთელობა, ორგანიზაცია, განათლება, პოლიტიკური ქცევა, ეკონომიკური ქცევა და ა. შ. ძირითადი აქცენტი გაკეთდება სოციალური პრობლემების განხილვაზე, ქცევაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაზე ,ქცევის შეცვლის ეფექტური სტრატეგიებისა და ინტერენციის დაგეგმვასა და შეფასებაზე.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კვლევით კომპონენტს და კვლევასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას. პროგრამის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარები; დამატებით, კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები.

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამა გამიზნულია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროთი, მისი ძირითადი მიმართულებებით, კვლევითი ან პრაქტიკული ასპექტებით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი).

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ინგლისურ ენაზე სასწავლო მასალის წაკითხვის და გაგების უნარი (B1 დონე).

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შემდეგი გამოცდების ჩაბარება: საერთო სამაგისტრო გამოცდა, გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიასა და ინგლისურ ენაში.

7. სწავლების შედეგი

კურსის გავლის შედეგად სტუდენტები ფლობენ შემდეგ ცოდნასა და უნარებს:

1. ***ცოდნა და გაცნობიერება*** – სტუდენტებმა იციან გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული მიდგომები, მიმართულებები, კლასიკური და თანამედროვე ემპირიული აღმოჩენები. აქვთ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას იძლევა; სტუდენტები აცნობიერებენ ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

2. ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი*** – სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა გარემოში (ორგანიზაციული, განათლების, ჯანდაცვის) სხვადასხვა მოვლენის თუ ფენომენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გაანალიზება და შეფასება; სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.

   შეუძლიათ მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება ფსიქოლოგიური ეთიკის და თანამედროვე სტანდარტების დაცვით.

3. ***დასკვნის უნარი*** – სტუდენტებს შეუძლიათ რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

   შეუძლია კვლევის მონაცემების ღრმა სტატისტიკური ანალიზი და ანგარიშის წარმოდგენა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

4. ***კომუნიკაციის უნარი*** – სტუდენტებს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა თუ კვლევის შედეგების გაცნობა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

5. ***სწავლის უნარი*** – სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა.

6. ***ღირებულებები*** – სტუდენტებს შეუძლიათ ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამით გათვლისწეინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა:

- ლექცია და პრეზენტაცია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (აუდიო-ვიზუალური)
- დისკუსია
- სემინარი
- ზეპირი პრეზენტაცია
- კვლევითი პროექტის, ესსეს ან საშინაო დავალების, განხილვა
- პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობები; პრაქტიკული მუშაობა (ვორკშოპი)
- ინდივიდუალური კონსულტაციები
- კვლევითი პროექტები
- კვლევითი პრაქტიკა
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები; თითოეული საგნის ფარგლებში გამოყენებული იქნება, როგორც მიმდინარე, ასევე შემაჯამებელი შეფასებები; პროგრამის ფარგლებში გამოიყნება შეფასების შემდეგი მეთოდები:

1 სხვადასხვა სახის ესეები
2 ფორმალური გამოცდები: წერილობითი, ზეპირი, ღია, დახურული
3 ტესტირება
4 დისკუსიები განსაზღვრულ თემებზე
5 ზეპირი პრეზენტაციები
6 თეორიული კვლევითი ნაშრომები
7 კვლევის და/ან კვლევის ცალკეული ეტაპების ანგარიშები
8 შემთხვევების ანალიზი

სტუდენტების შეფასება მოხდება უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემთ.

10. სასწავლო გეგმა

პროგრამაზე სწავლების ხანგრძლიობა შეადგენს ოთხ სემესტრს, 120 კრედიტს. მეოთხე სემესტრი (30 კრდიტი) მთლიანად სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას ეთმობა.

პროგრამა შედგება ცალკეულ საგნებისგან. საგნების საერთო რაოდენობაა 22[1], აქედან 12 ძირითადია (70 ECTS) და 9 არჩევითი (20 ECTS).

	კურსი	**I**	**II**	**III**	**IV**	**სტატუსი**	**ECTS**	**ლექტორი**
1.	თანამედროვე ტენდენციები სოციალურ ფსიქოლოგიაში					სავალდებულო	**5**	ა.ქიტიაშვილი
2.	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია					სავალდებულო	**5**	ა.ქიტიაშვილი
3.	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია					სავალდებულო	**5**	ნ. ბელქანია
4.	თანამედროვე სოციალური პრობლემების სოც. ფსიქოლოგიური კონტექსტი					სავალდებულო	**5**	თ. მახარაძე
5.	პიროვნების ფსიქოლოგია – თეორია და კვლევა					სავალდებულო	5	ხ. ჟვანია
6.	ჯანმრთელობის სოციალური ფსიქოლოგია					სავალდებულო	**5**	ნ. სუმბაძე
7.	განათლების ფსიქოლოგია					სავალდებულო	**5**	თ. აბაშიძე
8.	ორგანიზაციული ფსიქოლოგია					სავალდებულო	**5**	ნ. ქაჯაია
	კვლევის ბლოკი					სავალდებულო	**40**	
9.	ალბათურ-სტატისტკური მეთოდების გამოყენება სოციალურ კვლევაში					სავალდებულო	**5**	ქ. მანჯგალაძე
10.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები					სავალდებულო	**5**	ა.ქიტიაშვილი (მოწვეული ლექტორები)
11.	თვისებრივი კვლევის მეთოდები					სავალდებულო	**5**	ა.ქიტიაშვილი (მოწვეული ლექტორები)
12.	კვლევის დიზაინი გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგიაში					სავალდებულო	**5**	ნ. სუმბაძე
13.	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS საშუალებით					სავალდებულო	**5**	მ. დესპოტაშვილი
							25	
	არჩევითი ბლოკი	2	1	2				

[1] 16 საგანი უშუალოდ პროგრამის ფარგლებშია შემუშავებული, რომელთაც ფაკულტეტის სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამა იყენებს არჩევით ან სავალდებულო საგნებად.

14.	კულტურათაშორისი ფსიქოლოგია - კოგნიცია, ემოცია და ეთიკური ნორმა					არჩევითი	**5**	თ. თანდაშვილი
15.	ჯანმრთელობის დეტერმინანტები-თეორია და კვლევა					არჩევითი	**5**	ნ. ქაჯაია
16.	სოციალური გავლენები და ჯგუფის დინამიკა					არჩევითი	**5**	ე. ფირცხალავა
17.	სკალირების მეთოდი (დამოკიდებულებების გაზომვის ტექნიკები)					არჩევითი	**5**	ნ. უძილაური
18.	დასავლური და ინდიგენური განათლების თეორია და პრაქტიკა					არჩევითი	**5**	თ. თანდაშვილი
19.	მცირე ჯგუფების კვლევის მეთოდები					არჩევითი	**5**	თ. აბაშიძე
20.	ეთნოგრაფია					არჩევითი	**5**	თ. თანდაშვილი
21.	კვლევითი პრაქტიკა					არჩეითი	**5**	ნ. უძილაური
22.	კვლევითი სტატიების ანალიზი და პრეზენტაციის უნარი					არჩეითი	**5**	ნ. უძილაური
							45	
	სამაგისტრო ნაშრომი						**30**	
							120	

6. ადამიანური რესურსი

№	სახელი-გვარი	ხარისხის	პოზიცია
1.	ნოდარ ბელქანია	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	პროფესორი
2.	ანასტასია ქიტიაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
3.	ნანა სუმბაძე	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
4.	რევაზ ჯორბენაძე	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
5.	თამარ აბაშიძე	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი
6.	ირინე ჟვანია	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი
7.	ნინო ქაჯაია	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი
8.	თამარ მახარაძე	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი
9.	მედეა დესპოტაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი
10.	ეკატერინე ფირცხალავა	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტ პროფესორი
11.	ქეთევან მანჯგალაძე	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;	მოწვეული ლექტორი თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების ლაბორატორია.
12.	ნინო უძილაური		AFP მოწვეული ლექტორი
13.	თამარ თანდაშვილი	დოქტორანტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი	AFP მოწვეული ლექტორი

7. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ანასტასია ქიტიაშვილი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

<u>პროგრამის კონსულტანტი:</u>

ივანა მარკოვა - სტირლინგის უნივერსიტეტის პროფესორი

8. დასაქმების სფეროები

მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგები შეძლებენ მუშაობას მკვლევარის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასმთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.

9. დამატებითი ინფორმაცია

პროგრამაზე სწავლა შემოდგომის სემესტრიდან იწყება. საგნების უმეტესობა სპეციალურად პროგრამისათვის არის შემუშავებული, თუმცა გარკვეული საგნები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვა პროგრამებთან არის მკვეთი.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 10 სტუდენტის მიღება.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის მომზადების შესახებ

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამის მომზადება ფსიქოლოგიის მიმართულებაზე 2007 წლიდან დაიწყო AFP (Academic Fellowship Program) ფარგლებში; პროგრამის ცალკეული საგნები და პროგრამის მიმართულებები სხვადასხვა დროს განხილულ იქნა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებზე; პროგრამის გეგმა და წამყვანი საგნების სილაბუსები შემუშავებულია ე.წ peer-review პროცესის საფუძველზე, საერთაშორისო ექსპერტების კომენტარების გათვალისწინებით.

პროგრამის განვითარების მიზნით აქტიური მუშაობა მიმდინაროებს ევროპის სხვადსახვა უნივერსიტეტთან და საერთაშორისო ექსპერტეთბან.

პროგრამა დიდწილად უცხოელ კოლეგებთან ერთად გაწეული სამუშაოს შედეგია, თუმცა იგი მოდიფიცირებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის მიმართ ამჟამად წაყენებული მოთხოვნების საფუძველზე.

დანართი 1.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

სამაგისტრო კვლევები ჩატარდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე. ბაზა უზრუნველყოფილია რესურსებით (კომპიუტრული უზრუნველყოფა, ლიტერატურა, ადამიანური რესურსები)

ასევე, იგეგმება თანამშრომობა შემდეგ დაწესებულებებთან კვლევის სრულყოფილად წარმართვისათვის:

1. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი

სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ აღნიშნული ინსტიტუტის ბაზა. სტუდენტებს კვლევების ჩასატარებლად ეყოლებათ ხელმძღვანელები.

2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

სტუდენტების ნაწილს შესაძლებლობა ენება სტაჟირება გაიროს

ლიტერატურა:

სტუდენტებს შეეძლებათ შემდეგი რესურსების გამოყენება; წარმოდგენილია რესურსების მხოლოდ ნაწილი:

ინარი- ელექტრონული ბიბლიოთეკის უფასოდ გამოყენების უფლება
Sage პუბლიკაციების უფასო გამოყენება

Kool.V & Agrawal. R (2006). Applied Social Psychology. ATLANTIC
Steg, J., Buunk, A and Rothengatter, T (2008). Applied Social Psychology: Understanding and Managing Social Problems, Cambridge University Press

Tylor, Peplau.,& Sears (2005). *Social Psychology*. PRENTICE HALL
Baron, R. A. & Byrne, D. *Social psychology.* Boston; Allyn and Bacon
Myers. D. G/ (2004). *Social Psychology*. McGrAW-HILL.INC
Tylor, Peplau.,& Sears. *Social Psychology*. PRENTICE HALL
Franzoi (1996). Social Psychology. Brown and Benchmark Publishers

Eagly, A. E., & Chaiken, S. (1993). *The psychology of attitudes*. Fort Worth, TX: Harcourt
Zanna, M. P., & Rempel, J. K. (1988). Attitudes: A new look at an old concept. In D. Bar-Tal & A. W. Kruglanski (Eds.), The social psychology of knowledge (pp. 315-334). New York:Cambridge University Press.

М-А Робер, Ф.Тильман (1988) Психология Индивида и Группы. Bruxelles
Morgan, D. (1993*) Successful Focus groups*: *Advancing the State of the Art*,
Krippendorff, K. (1980) *Content Analysis: an Introduction to its Methodology*. Newburry Park, Calif: Sage
Kvale, S (2002) *Interviews: an Introduction to Qualitative Research Interviewing*, London: Sage
Bryman, A (2008). *Social Research Methods*, Oxford University Press

Babbie, Earl, (2004). *The Practice of Social Research*, 10th edition. NY: Wadsworth Publishing.

Carrington, J. Scott and S. Wasserman (2007) Models and Methods in Social Network Analysis, Cambridge University Press: forthcoming

Dancey, C.P.,& Reidy, J. (2002). *Statistics Without Maths for Psychology*. 2nd ed.Harlow, England, etc: Prentice Hall.

სამეცნიერო/შემოქმედებითი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა:

<u>სფეროები:</u>
ქცევის სოციალური რეგულაცია
იდენტობა; სოციალური იდენტობა
სოციალური კოგნიცია
სოციალური გავლენები
ჯანმრთელობის ფსიქოლოგია/ ფსიქიკური ჯანმრთელობა
განათლების ფსიქოლოგია
ჯგუფის ფსიქოლოგია
კროსკულტურული სოციალური ფსიქოლოგია
სოციალური პრობლემები და სოც. ფსიქოლოგიური კონტექსტი

დანართი 2. სილაბუსები

დანართი 3. პროგრამის განხილვის ოქმი

დანართი 4. სამაგისტრო საკითხები

საკითხები სოციალურ ფსიქოლოგიაში

1. **სოციალური ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები;**
2. სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდები და მეთოდოლოგია;
3. კვლევის ეთიკა სოციალურ ფსიქოლოგიაში.

4. **სოციალური პერცეფცია: ინდივიდის მიერ ინდივიდის აღქმა;**
5. პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება; ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ პირველ შთაბეჭდილებაზე;
6. არავერბალური კომუნიკაცია; არავერბალური კომუნიკაციის ბაზისური არხები;
7. კელის სოციალური ატრიბუციის თეორია;
8. შეცდომები კაუზალურ ატრიბუციაში;
9. ბემის თვითპერცეფციის თეორია.

10. **სოციალური კოგნიცია; როგორ ვიგებთ სოციალურ სამყაროს?**
11. ძირითადი კოგნიტური სტრატეგიების მოკლე მიმოხილვა (ევრისტიკული რეპრეზენტატულობა, ევრისტიკული ხელმისაწვდომობა, ყალბი კონსენსუსის ეფექტი, სიცხადის ეფექტი, ილუზორული კორელაცია, საფუძვლის მომზადება (Priming) , თეორიის სიმტკიცე, რეგრესიის შეცდომა პრიმიტიული აზროვნება)
12. სქემა; სქემის სახეები: სელფ- სქემები, პერსონა, როლი და მოვლენა სქემები; ინფორმაციის მიღება და გადამუშავება სქემის საფუძველზე;
13. **აფილიაცია;**
14. შიში და აფილიაცია;
15. ინტერპერსონალური მიზიდვა; ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ მიზიდვაზე;

16. **პიროვნული ნიშნები; მათი იდენტიფიკაცია;**
17. თვით-შეფასება; საკუთარი თავის გაგება;
18. სოციალური შედარების თეორია; თეორიის არსი და მნიშვნელობა;
19. თვითპრეზენტაცია; სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის მართვა;

20. **აგრესია; დეფინიცია; აგრესიის წყაროები;**
21. აგრესიის სოციალური და სიტუაციური დეტერმინანტები;
22. აგრესიის ინდივიდუალური დეტერმინანტები;

23. **პროსოციალური ქცევა; გარემო პირობები და პროსოციალური ქცევა;**

24. ვინ ახორციელებს პროსოციალურ ქცევას და ვინ იღებს დახმარებას?

25. **ჯგუფები; ჯგუფების ბუნება და მოქმედება. ჯგუფის სტრუქტურა**
26. კომუნიკაციის გავლენა ჯგუფის შესრულებაზე;
27. ჯგუფის დინამიკა; თანამშრომლობა და შეჯიბრი ჯგუფში;
28. ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება.

29. **ატიტუდი; ატიტუდის დეფინიცია; ატიტუდის ბუნება;**
30. ატიტუდის სტრუქტურა; სამკომპონენტიანი და ერთკომპონენტიანი მოდელები;
31. ატიტუდის ფუნქციები;
32. ატიტუდსა და ქცევას შორის კავშირის მოდელები ნებელობითი და იმპულსური ქცევებისათვის;

33. **ცრუ რწმენები (პრეჯუდისები) და დისკრიმინაცია; დეფინიციები; დისკრიმინაციის დახვეწილი ფორმები;**
34. პრეჯუდისების ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორები;
35. თანამედროვე რასიზმი და სექსიზმი;
36. ბრძოლა პრეჯუდისებთან; ძირითადი სტრატეგიები.

37. **სოციალური გავლენები; კონფორმიზმი; კლასიკური ექსპერიმენტები;**
38. უმცირესობის გავლენის თავისებურება უმრავლესობაზე;
39. მიყოლა; ძირითადი ტექნიკები: მოთაფვლა, საპასუხო დათმობა (რეციპროკულობა) და მრავალჯერადი თხოვნა.
40. მორჩილება; დეფინიცია და ბუნება; კლასიკური ექსპერიმენტები;

ლიტერატურა:

1. რ. ქვარცხავა, სოციალური ფსიქოლოგია (კონსპექტი ქართულ ენაზე)
2. Майерс Д. (2004). Социальная психология. Санкт-Петербург. Питер.
3. Baron, R. A. & Byrne, D. (2000). *Social psychology*. Boston; Allyn and Bacon
(სახელმძღვანელო რუსულ და ინგლისურ ენებზე)